

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 6

მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, ზუსტად განსაზღვროს *მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების* ფინანსური ანგარიშგება.
2. სახელდობრ, მოცემული სტანდარტი მოითხოვს:
 - ა) მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯების ამჟამად არსებული სააღრიცხვო წესების გარკვეულწილად გაუმჯობესებას;
 - ბ) საწარმოებმა, რომლებიც მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივებს აღიარებენ, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად განიხილონ ასეთი აქტივების გაუფასურება და ნებისმიერი გაუფასურება შეფასონ ბასს 36-ის - „*აქტივების გაუფასურება*“ - შესაბამისად;
 - გ) განმარტებით ინფორმაციას, რომლითაც დადგინდება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული, მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების შედეგად წარმოქმნილი თანხები და ამ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება აღიარებული ძიებისა და შეფასების აქტივების შედეგად წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მათი წარმოქმნის დროისა და დამაჯერებლობის შესახებ წარმოდგენის შექმნაში.

მოქმედების სფერო

3. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯების მიმართ, რომელსაც ეწევა.
4. ეს სტანდარტი არ ეხება მინერალური რესურსების მარაგის ძიებითა და შეფასებით დაკავებული საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ასპექტებს;
5. საწარმომ მოცემული სტანდარტი არ უნდა გამოიყენოს ისეთი დანახარჯებისათვის, რომლებიც გაწეულია:
 - ა) მინერალური რესურსების მარაგის ძიების დაწყებამდე და შეფასებამდე, როგორცაა, დანახარჯები, რომლებიც მანამ წარმოიშობა, სანამ საწარმო გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების კვლევა-ძიების იურიდიულ უფლებას მოიპოვებს;
 - ბ) მას შემდეგ, რაც აშკარა ხდება მინერალური რესურსის მოპოვების ტექნიკური განხორციელება და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა.

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების აღიარება

დროებითი განთავისუფლება ბასს 8-ის მე-11-12 პუნქტებისაგან

6. საწარმომ, რომელიც მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივებს აღიარებს, სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - მე-10 პუნქტით.
7. ბასს 8-ის მე-11-12 პუნქტებში ზუსტად არის განსაზღვრული ის მნიშვნელოვანი მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც საწარმოს ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ მუხლის შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრის დროს, თუ ამ მუხლს რომელიმე კონკრეტული სტანდარტი არ მიესადაგება. მე-9 და მე-10 პუნქტების პირობით, წინამდებარე სტანდარტი საწარმოს ანთავისუფლებს მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების აღიარებისა და შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმართ ამ პუნქტების გამოყენებისაგან.

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების შეფასება

შეფასება აღიარების დროს

8. მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.

ძიებისა და შეფასების აქტივების თვითღირებულების ელემენტები

9. საწარმომ უნდა განსაზღვროს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დაადგენს, რომელი დანახარჯები იქნება აღიარებული მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივებად და შემდეგ ამ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად იმოქმედოს. სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრის დროს, საწარმო ითვალისწინებს იმ დონეებს, რომლის მიხედვითაც შეიძლება დანახარჯების დაკავშირება გარკვეული მინერალური რესურსის მოძიებასთან. ქვემოთ მოცემულია ისეთი დანახარჯების მაგალითები, რომლებიც შეიძლება ჩაითოს ძიებისა და შეფასების აქტივების თავდაპირველ შეფასებაში (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):
- ა) მინერალური რესურსების ძიების უფლების შეძენა;
 - ბ) ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევები;
 - გ) სამიეზო ბურღვა;
 - დ) გათხრების სამუშაოები;
 - ე) სინჯების აღება; და
 - ვ) მინერალური რესურსის მოპოვების ტექნიკური განხორციელებისა და კომერციული სიცოცხლისუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებული საქმიანობები.
10. მინერალური რესურსების დამუშავებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ უნდა აღიარდეს, როგორც მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები. *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებსა* და ბასს 38-ში – „*არამატერიალური აქტივები*“ – მოცემულია მითითებები განვითარების სამუშაოებისგან წარმომოხილი აქტივების აღიარების შესახებ.
11. ბასს 37-ის – „*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*“ – მიხედვით საწარმო აღიარებს აქტივების ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ნებისმიერ მოვალეობას, რომელიც წარმოიშობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მინერალური რესურსების ძიებისა და შეფასების შედეგად.

აღიარების შემდგომი შეფასება

12. საწარმომ აღიარების შემდგომ, ძიებისა და შეფასების აქტივების მიმართ უნდა გამოიყენოს თვითღირებულების ან გადაფასების მოდელი. თუ გადაფასების მოდელს აირჩევს (ბასს 16-ის – „*პირითადი საშუალებები*“ ან ბასს 38-ის შესაბამისად), მოდელი აქტივების კლასიფიკაციის შესაბამისი უნდა იყოს (იხ. პ. 15).

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

13. საწარმოს შეუძლია შეცვალოს მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა, თუ ამ ცვლილების შედეგად ფინანსური ანგარიშგება უფრო მეტად შესაბამისი გახდება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მომხმარებლების მოთხოვნების და არ გახდება ნაკლებად საიმედო, ან გახდება უფრო საიმედო და არანაკლებ შესაბამისი უწინდელთან შედარებით. საწარმომ საიმედოობისა და შესაბამისობის შესახებ ბასს 8-ის კრიტერიუმების მიხედვით უნდა იმსჯელოს.
14. მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯების სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გასამართლებლად, საწარმომ უნდა დაამტკიცოს, რომ ეს ცვლილება გამოიწვევს ფინანსური ანგარიშგების მიახლოებას ბასს 8-ის კრიტერიუმებთან, მაგრამ აუცილებელი არ არის ამ კრიტერიუმებთან სრული შესაბამისობის მიღწევა.

წარდგენა

ძიებისა და შეფასების აქტივების კლასიფიკაცია

15. საწარმომ მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები უნდა დააჯგუფოს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებად, შეძენილი აქტივების თავისებურებებიდან გამომდინარე და უცვლელად იხელმძღვანელოს ამ კლასიფიკაციით.
16. მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების ზოგიერთ აქტივებს მიაკუთვნებენ არამატერიალურ აქტივებს (მაგ. ბურღვის ნებართვა), სხვებს კი - მატერიალურ აქტივებს (მაგ., სატრანსპორტო საშუალებები და ჭაბურღილები). რამდენადაც მატერიალური აქტივი გამოიყენება არამატერიალური აქტივის შესაქმნელად, სიდიდე, რომელიც ამ მოხმარებას აღწერს, წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ღირებულების ნაწილს. თუმცა, მატერიალური აქტივის გამოყენება არამატერიალურის შესაქმნელად მატერიალურ აქტივს არამატერიალურად არ გარდაქმნის.

ძიებისა და შეფასების აქტივების კლასიფიკაციის შეცვლა

17. როდესაც მინერალური რესურსის მოპოვების ტექნიკური განხორციელება და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა ამკარა ხდება, ძიებისა და შეფასების აქტივები აღარ უნდა იყოს კლასიფიცირებული ასეთად. განხილულ უნდა იქნეს ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურება და კლასიფიკაციის შეცვლამდე უნდა აღიარდეს ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

გაუფასურება

აღიარება და შეფასება

18. მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ ძიებისა და შეფასების აქტივების საბალანსო ღირებულება შეიძლება აღემატებოდეს ანაზღაურებად ღირებულებას. როდესაც ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებენ, რომ მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება, საწარმომ ნებისმიერი გამოწვეული გაუფასურების ზარალი უნდა შეაფასოს, წარადგინოს და განმარტოს ბასს 36-ის შესაბამისად, გარდა წინამდებარე სტანდარტის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
19. მხოლოდ მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების შემთხვევაში, ბასს 36-ის მე-8-17 პუნქტების ნაცვლად, საწარმომ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტის მე-20 პუნქტი, როდესაც ხდება მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების იმ აქტივების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება გაუფასურებული იყოს. მე-20 პუნქტში გამოიყენება ტერმინი „აქტივები“, მაგრამ იგი ერთნაირად ეხება მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების განცალკევებულ აქტივებს და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულსაც.
20. ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან მეტი ფაქტისა და გარემოების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ საწარმომ უნდა ჩაატაროს მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურების ტესტირება (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი):
 - ა) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმოს გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების მარაგის ძიების სამუშაოების ჩატარების უფლება აქვს, დამთავრდა ან უახლოეს მომავალში დამთავრდება და მისი განახლება მოსალოდნელი არ არის;
 - ბ) გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯების გაწევა მომავალში არც ბიუჯეტშია გათვალისწინებული და არც დაგეგმილი არ არის;
 - გ) გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსების მარაგის ძიებამ და შეფასებამ არ გამოიწვია კომერციულად სიცოცხლისუნარიანი მოცულობის მინერალური რესურსების აღმოჩენა და საწარმომ გადაწყვიტა ამ ტერიტორიაზე შეწყვიტოს ასეთი საქმიანობა;

დ) არსებობს საკმარისი მიმანიშნებელი მონაცემები იმისა, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე რესურსის ათვისების გაგრძელების შემთხვევაშიც კი საექვო იქნება მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივის საბალანსო ღირებულების სრულად აღდგენა, წარმატებული ათვისების ან გაყიდვის შედეგად.

ყოველ ასეთ ან მსგავს შემთხვევაში, საწარმომ უნდა ჩაატაროს გაუფასურების ტესტი ბასს 36-ის შესაბამისად. ნებისმიერი გაუფასურების ზარალი ხარჯად აღიარდება ბასს 36-ის მიხედვით.

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურების შესამოწმებელი დონის დადგენა

- 21. მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურების შესაფასებლად, საწარმომ უნდა განსაზღვროს ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულების ჯგუფებზე ძიებისა და შეფასების აქტივების მიკუთვნების საადრიცხვო პოლიტიკა. თითოეული ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეული ან ერთეულების ჯგუფი, რომელსაც ძიებისა და შეფასების აქტივებს მიაკუთვნებენ, არ უნდა აღმატებოდეს ფასს 8-ის – „საოპერაციო სეგმენტები“ – მიხედვით განსაზღვრულ საოპერაციო სეგმენტს.
- 22. ძიებისა და შეფასების აქტივების გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოს მიერ დადგენილი დონე შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულს.

განმარტებითი შენიშვნები

- 23. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გააშუქოს, რომელიც ადგენს და განმარტავს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასებისგან წარმოქმნილ თანხებს.
- 24. 23-ე პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად საწარმომ უნდა განმარტოს:
 - ა) მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯებისთვის, მათ შორის, მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების აღიარებისათვის დადგენილი საადრიცხვო პოლიტიკა;
 - ბ) მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების შედეგად წარმოქმნილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების თანხები და ასევე საოპერაციო და საინვესტიციო ფულადი ნაკადები.
- 25. საწარმომ მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები უნდა მიიჩნიოს აქტივების განცალკევებულ კლასად და მათი კლასიფიკაციის შესაბამისად გააკეთოს განმარტებითი შენიშვნები, ბასს 16-ით ან ბასს 38-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ძალაში შესვლის თარიღი

- 26. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2006 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. რეკომენდებულია სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს 2006 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის გამოიყენებს, მან ამის შესახებ უნდა აღნიშნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 26ა. 2018 წელს გამოცემულმა დოკუმენტმა - „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“ - გამოიწვია მე-10 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ საწარმო იმავდროულად გამოიყენებს ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც განაპირობა დოკუმენტმა - „შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“. საწარმომ ფასს 6-ში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს

რეტროსპექტულად ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - შესაბამისად. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა დასჭირდება ფასს 6-ის ამ ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენებას, მან ეს ცვლილება უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის 23-28-ე, 50-53-ე და 54ვ პუნქტების შესაბამისად.

გარდამავალი დებულებები

27. თუ მე-18 პუნქტის ზოგიერთი მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია შესადარისი ინფორმაციისათვის, რომელიც 2006 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ წლიურ პერიოდებს შეეხება, საწარმომ ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ტერმინის „შეუძლებელია“ განმარტება მოცემულია ბასს 8-ში.

დანართი ა ტერმინების განმარტება

დანართი წინამდებარე სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივები

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯები, რომელიც აქტივად აღიარდება საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების დანახარჯები

მინერალური რესურსების ძიებისა და შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც საწარმომ გასწია მანამ, სანამ მინერალური რესურსის მოპოვების ტექნიკური განხორციელება და კომერციული სიცოცხლისუნარიანობა აშკარა გახდებოდა.

მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება

მინერალური რესურსების, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და მსგავსი არაკვლავწარმოებადი რესურსების ძიება მას შემდეგ, როცა საწარმომ მიიღო გარკვეულ ტერიტორიაზე მინერალური რესურსის მოპოვების, ასევე მოპოვების ტექნიკური განხორციელებისა და კომერციული სიცოცხლისუნარიანობის დადგენის იურიდიული უფლებები.